საქართველოს ... სახელობის ... ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო, დედის ძუძუ, არ გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

1990 შაბათი 16 ივნისი №71 (10308) ფასი 8 კაპ.

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

საქ. კპ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ორგანო

ОДИШИ — ОРГАН ЗУГДИДСКОГО ГОРОДСКОГО КОМИТЕТА КП ГРУЗИИ, ГОРОДСКОГО И РАЙОННОГО СОВЕТОВ НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ

**ამ რამდენიმე წლის წინ დიდი მსჯელობა იყო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით, რომელიც აპოქაჩავდა ჩვენს ეკონომიკას, მაგრამ მაშინ კონსერვატორმა ეკონომისტებმა ეს მიიჩნიეს კაპიტალიზმის გადმონაშთად, ხოლო ამჟამად ნათელი გახდა, რომ ცხოვრების ახლებურად წარმართვა უაზრობაა საბაზრო ეკონომიკაზე გადაუსვლელად.**

**საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა კი თავის მხრივ მოითხოვს წარმოების პროგრესული მეთოდებით მართვას, საბაზრო კონიუნქტურის ცოდნას...**

**ამ მნიშვნელოვან ეტაპზე ჩვენი საწარმოო ცდილობს გადასინჯოს წარმოების ყველა რეზერვი და გაარკვიოს სამომავლო შესაძლებლობები.**

**ამ საკითხის გარშემო ვესაუბრეთ საწარმოო გაერთიანება „საქქაღალდმრეწვის" გენერალური დირექტორის მოადგილეს კომერციულ დარგში, ბატონ მურმან ნაჭყებიას.**

**მკითხველებს ვთავაზობთ ამ საუბრის ჩანაწერს.**

# მთავარი ორიენტირი — საბაზრო ეკონომიკა

ჩვენს წარმოებას ძირითად ნედლეულს აწვდის რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა რეგიონი: არხანგელსკი, კრასნოიარსკი, ბრატსკი, უსტილიმსკი... აგრეთვე უკრაინის და ბელორუსიის რესპუბლიკები.

მიუხედავად იმ მძიმე მდგომარეობისა, რაც დღეს შექმნილია სახალხო მეურნეობაში, კავშირის მასშტაბით სახელშეკრულებო ვალდებულებები და მჭიდრო კონტაქტები დამყარებულია ჩვენს პარტნიორებთან, რომლის შედეგიცაა ამ დიძაბულ დროს, ჩვენი წარმოების შეუფერხებელი, სტაბილური მუშაობა. მაგრამ ეს არ გვაძლევს თვითდამშვიდების უფლებას, მითუმეტეს მაშინ, როდესაც სახალხო მეურნეობა გადადის საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობაზე. ამ შემთხვევაში წარმოების დასაყრდენი ჩვენი კომერციული სამსახური იქნება, ვინაიდან წარმოების მომარაგება მთლიანად ჩვენი კომპეტენციაა. კომერციული სამსახურის საქმიანობა ამ პირობებში უნდა გახდეს უფრო მოქნილი, კომპეტენტური და გააზრებული, მისი თითოეული მუშაკი უნდა ფლობდეს საფუძვლიანად ბაზრის კონიუნქტურას, უნდა ჰქონდეთ შეგნებული, რომ მათზე იქნება დამოკიდებული წარმატებული მუშაობა, ეს კი თავისთავად მოითხოვს თითოეულისაგან პასუხისმგებლობის გაზრდას.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით აუცილებელია წარმოებაში მოქმედებდეს ძირითადი და დამხმარე ყველა სახის ნედლეულის ეკონომიურად, რაციონალურად ხარჯვის უზრუნველყოფის მექანიზმი. ეს ნიშნავს იმას, რომ საამქროებმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვან ნედლეულის და მასალების გადახარჯვები დაწესებულ ნორმაზე ზევით. ამ მხრივ დღეისათვის მიუხედავად მთელი რიგი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების გატარებისა, ჯერ და ჯერ აღმოუფხვრელი ასეთი სტრატეგიული დანიშნულების ნედლეულის, დანაკარგები. როგორიცაა ცელულოზის გადახარჯვა და ამ საქმეს თუ ასეთი „გულისყურით" მოვეკიდეთ, შესაძლებელია მიმდინარე წლის ნოემბერ-დეკემბერში ქაღალდის წარმოების საამქროს აძულებთ გაჩერებამ მოუწიოს, რაც გაერთიანების ეკონომიკის მკვეთრ დაცემას გამოიწვევს. დაზოგილი ნედლეულით კი შეიძლება გაწარმოოთ ზეგეგმიური პროდუქცია. მოვიყვან ერთ მაგალითს: გოფროტარის წარმოების საამქროში ნარჩენმა პროდუქციამ შეადგინა 15 პროცენტი. თუ ჩვენ მკაცრად დავიცავთ ტექნოლოგიურ ციკლს, გამოვნახავთ მუშაობის ოპტიმალურ გზებს, ეს ციფრი შეიძლება 12-13 პროცენტამდე შევამციროთ. ეს კი დადებით ბალანსს შეგვიქმნის ეკონომიკაში.

ან კიდევ წლების განმავლობაში ქაღალდის წარმოების საამქროში ვერ მივაღწიეთ სტაბილურობას, იმ შემთხვევაში თუ ეს ქრონიკული კრიზისი დაძლეულ იქნა და წელიწადში გამოვიმუშავეთ ზეგეგმით 400-500 ტონამდე ქაღალდი, იმ დროს, როცა მთელს მსოფლიოში ქაღალდის დეფიციტია, ზეგეგმიური ქაღალდის გაცვლის საფუძველზე შეიძლება წარმოების მუშა-მოსამსახურეთათვის შემოვზიდოთ გარკვეული ოდენობის სახალხო მოხმარების საგნები.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ასორტიმენტის მიხედვით საწარმოო გეგმის შესრულებას და პროდუქციის დროულ მიწოდებას მომხმარებლისათვის. სამწუხაროდ, გოფროტარის წარმოების საამქრო ჯერ-ჯერობით ვერ ახერხებს ასორტიმენტის მიხედვით სახელშეკრულებო მოთხოვნების შესრულებას, რის გამოც ბევრ დამკვეთს მუყაოს ყუთებისათვის საფენებს და ტიხრებს ვერ ვუგზავნით, რის გამოც ირღვევა სახელშეკრულებო პრინციპები. თუ სახელშეკრულებო მოთხოვნებს არ შევასრულებთ, საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბევრმა წარმოება-დაწესებულებამ შეიძლება უარიც კი გვითხრას პარტნიორობაზე. ერთი სიტყვით, საბაზრო ეკონომიკის პირობებში წინა პლანზე დგას უღალატო პარტნიორობის პრინციპი. ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური თანამშრომლობის ზუსტი დაცვაა.

ადრე არსებობდა ასეთი ლოზუნგი: „საწარმოო დავალებების შესრულება ნებისმიერი გზით". დღეს უკვე ეს ლოზუნგი დრომოჭმულია და ფაქტიურად აზრიც კი აქვს დაკარგული, ვინაიდანაც წარმოების დავალებების შესრულებაში მთავარია პროდუქციის ხარისხობრივი და არა რაოდენობრივი მაჩვენებლები. ჩვენს წარმოებაში ამ მხრივ ბევრი მუშაობა გვმართებს, რადგან ჩვენს მიერ გამოშვებული პროდუქცია უნდა იყოს კონკურენტუნარიანი, მან წებისმიერ კონკურენციას უნდა გაუძლოს მკაცრი საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების პირობებში.

რაც წლები გადის თანდათან უფრო იძაბება ცხოვრება, ძნელდება მუშაობა. ჩვენს სამომავლო გეგმებს შეადგენს საიმედო პარტნიორების გამონახვა და მათთან ხელშეკრულებების გაფორმება. სახელშეკრულებო კამპანია უკვე გაშლილი უნდა იყოს, უკვე მოძებნილი უნდა იყოს პარტნიორები, მაგრამ სამწუხაროდ, ეს ყველაფერი გვიანდება. მთავარი მიზეზთაგანია ის, რომ შესაბამისი ზემდგომი უწყებები და სამინისტროები მომარაგების დეცენტრალიზაციას ვერ ეგუებიან, რაც იწვევს სრულ ქაოსს, სახალხო მეურნეობის საჭირო მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის საქმეში: ასეთი სიტუაცია გვაფიქრებინებს, რომ 1991 წლისათვის შეიქმნება მთელი რიგი სირთულეები საწარმოთა სამეურნეო ურთიერთობებში და ჩვენ უნდა ვიყოთ მზად იმისათვის, რომ ეს სირთულეები დავძლიოთ ოპერატიულად და უზრუნველვყოთ გაერთიანების ყველა სამსახურის სტაბილური მომარაგება ნედლეულითა და მასალებით.

საუბარი ჩაიწერა
ლ. ჯოლოხავამ.

---

ეს დღეები სოფლად

## სიმინდის პირველი გათოხნა-გაფხვიერება

რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობების სასიმინდე ფართობებში მიმდინარეობს აზოტოვანი სასუქებით ნიადაგის გამოკვება, პირველი გათოხნა-გაფხვიერება. ეს სამუშაო გეგმიური 2365 ჰექტარიდან ჩატარებულია 1800 ჰექტარზე.

სამარცვლე სიმინდის პირველი გათოხნა ორგანიზებულად მიმდინარეობს ახალაბასთუმნის, კახათის, ახალკახათის, ნარაზენის კოლმეურნეობებში, ანაკლიის, დარჩელისა და ორსანტიის საბჭოთა მეურნეობებში.

---

## თ ა ნ ა მ ე მ ა მ უ ლ ე ნ ო!

**16 ივნისს 17 საათზე, ზუგდიდის ცენტრალურ მოედანზე ტარდება მიტინგი, სადაც შეხვდებით ბატონ ზვიად გამსახურდიას და მრგვალი მაგიდის პოლიტიკურ ორგანიზაციათა სხვა წარმომადგენლებს.**

**17 ივნისს 16 საათზე შ. დადიანის სახელობის სახელმწიფო თეატრში ბ-ნი ზვიად გამსახურდია წაიკითხავს ლექციას საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე.**

ჰელსინკის კავშირის საინიციატივო ჯგუფი.

---

ჩაი—90

## მოკრეფილია 15.348 ტონა

რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მთელი ფრონტით გაიშალა ლაშქრობა 62.500 ტონა ჩაისათვის. 15 ივნისისათვის მოიკრიფა და გადამამუშავებელ მრეწველობას ჩაბარდა 15.348 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, რაც წლიური გეგმის 24,5 პროცენტია.

14 ივნისს რაიონში დამზადდა 750 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, რაც 188 ტონით აღემატება შარშან ამ დღეს მოკრეფილს.

---

**საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისაგან, სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებისაგან**

საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტი, სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოს აღმასკომები მწუხარებით იუწყებიან რომ გარდაიცვალა ყოფილი პარტიული, სამეურნეო და შინაგან საქმეთა ორგანოების ვეტერანი მუშაკი **ვივი ვალერიანეს ძე კოდუა** და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ზუგდიდის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანება იუწყება, რომ გარდაიცვალა გაერთიანების ყოფილი მთავარი აგრონომი **ვივი ვალერიანეს ძე კოდუა** და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

**ვ. ვ. კოდუას დამკრძალავი კომისიის შექმნის შესახებ**

შეიქმნა ვ. ვ. კოდუას დამკრძალავი კომისია ვ. ფიფიას (თავმჯდომარე) გ. ბულიას, ო. ანთიას, გ. აფაქიძის, რ. ჯალაღონიას შემადგენლობით.

პრემიერის წინ

# როგორ ვიცვალეთ...

არც თუ ისე ხშირად ვართ განებივრებული ზუგდიდელები შალვა დადიანის სახელობის თეატრის საინტერესო დადგმებით. განსაკუთრებით ბოლო წლებში ხშირია რეჟისორთა ცვლა, მთავარი რეჟისორი თეატრს დღესაც არ ჰყავს. ამიტომ მხოლოდ მოწვეული რეჟისორების იმედზეღა ვრჩებით.

ამჯერად თეატრის მოწვევით სპექტაკლს დგამს ახალგაზრდა რეჟისორი მერაბ ჯაფარიძე. მან თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი დაამთავრა, ამჟამად ტელევიზიის რეჟისორია და ავტორია მრავალი სატელევიზიო სპექტაკლის, აგრეთვე ლიტერატურული თეატრის დადგმების. მათ შორისაა საკმაოდ გახმაურებული სპექტაკლი „მდგმურები", რომელიც ჯერ კიდევ ეროვნული მოძრაობის აღორძინებამდე მძაფრად ილაშქრებდა იმპერიული რეჟიმის წინააღმდეგ, თავისუფლების წყურვილს, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეას ასახავდა. საინტერესო იყო მის მიერ განხორციელებული ლიტერატურული თეატრები „შუშანიკის წამება", „ფიქრები სულხან-საბაზე", „ბალესტინა, ბალესტინა", გალაკტიონისადმი მიძღვნილი „უცნობი" და სხვა.

ეს მრავალფეროვანი შემოქმედი, რომელიც ბავშვობიდანვე ეზიარა თეატრალური სამყაროს მშვენიერებას (მამამისი საქ. სახალხო არტისტი გიგა ჯაფარიძე ცნობილი რეჟისორია), ავტორია არა მხოლოდ თეატრალიზებული წარმოდგენებისა, არამედ ხშირად წარმოგვიდგება მსახიობის როლშიც. შესრულებული აქვს როლები ფილმებში „სამაგრო ხედი", „ესკულაპეს მოწაფე", არსაკიძის როლი ქუთაისის თეატრის „დიდოსტატის მარჯვენაში" და სხვა. ამჯერად გამოსცა ლექსების კრებულიც, რითაც იგი საინტერესო პოეტადაც წარმოგვიდგება.

მერაბ ჯაფარიძე უკვე ერთი თვეა რეპეტიციებს ატარებს ზუგდიდის თეატრში, დგამს რეზო მიშველაძის „სპექტაკლი ფეხით მოსიარულეთათვის", რომელმაც ახალ ვარიანტში ავტორისგან მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა და ამჯერად განხორციელდა „წრევის" სახელწოდებით.

რეპეტიციის დაწყებამდე გეწვიეთ თეატრს და რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ მერაბ ჯაფარიძეს.

—რას გვეტყოდით, თქვენს მომავალ სპექტაკლზე?

—სპექტაკლში ასახულია უახლოესი წარსულიდან მოტანილი ამბები. იმ კუთხით მივუდგე წარმოდგენა, რომ მაყურებელმა ცხადად შეიგრძნოს ბოლო ხუთი წლის მნიშვნელოვანი მოვლენები, როგორ ვიცვალეთ ღელმდეგი ეროვნულ მოძრაობას ეხმიანება. მისი მთავარი მოქმედი ადამიანი, რომელიც გაბედა პირველმა თქვა სიმართლე, შემდგომ მოთხრობილია იმ წინააღმდეგობებზე, რომელსაც იგი წააწყდა არსებული სისტემის სტილიტების მხრიდან.

—როგორც თქვენს მიერ განხორციელებული სპექტაკლებიდან ჩანს, პოლიტიკა უცხო არ არის თქვენთვის. საინტერესოა, თავად თუ მონაწილეობთ ეროვნულ მოძრაობაში?

—ჩემი მონაწილეობა ეროვნულ მოძრაობაში უპირველესად ჩემს შემოქმედებაში გამოიხატება. მიმაჩნია, რომ ყველა არ უნდა იყოს პოლიტიკოსი. პოლიტიკოსმა უნდა აკეთოს პოლიტიკა, ჩვენ კი მხარი უნდა დავუჭიროთ. ვიყავი სხვადასხვა მიტინგების, აგრეთვე 9 აპრილს ტელევიზიასთან დარბეული აქციის მონაწილე, 9 აპრილის გამომკვლევ კომისიას ჩავაბარე ქიმიური ნივთიერება, რომელიც ჯარისკაცებს ავართვით.

—როდის შედგება სპექტაკლის პრემიერა?

—სპექტაკლში მთელი დასი მონაწილეობს. ძალიან მადლიერი ვარ ყველასი, მონდომებით მუშაობენ, დაუღალავად. ვფიქრობ, 20 ივნისისათვის პრემიერას გავმართავთ. გულდასაწყვეტია, რომ მასში გაურკვეველი მიზეზებით არ მიიღო მონაწილეობა თეატრის ერთ-ერთმა დამსახურებულმა მსახიობმა.

ასევე მინდა აღვნიშნო, რომ დადგმის მხატვარია გიგი გაბისონია, ხოლო მუსიკა იწერება სპეციალურად გით ცინცაძის მიერ, რომელიც ავტორია ფილმ „ანემიას" მუსიკისა. ამ ფილმმა საზღვარგარეთ დიდი აღიარება და პრემიები დაიმსახურა. გიასთან ერთად ვმუშაობდი სპექტაკლზე „მდგმურები".

გავესაუბრეთ ასევე მთავარი როლის შემსრულებელს ტარიელ ზურაბაშვილს:

—„ჩემი გმირი ჩვეულებრივი, ჯარემოებას შეგუებული ადამიანი იყო,—აღნიშნა მან, დანარჩენივით ყველაფერზე ტაშს რომ უკრავდა, მაგრამ მასში სინდისმა გაიღვიძა და თქვა სიმართლე, ამის შეეწირა კიდეც... მაგრამ ამბოხებული სული ვერ ჩაკლეს, ბოლოს მასთან დგება ხალხი, რაშიც აშკარად გამოიკვეთა სპექტაკლის ავტორის პოზიცია.

სცენაზე გვიულგებს „დიდი ბელადის". სახეც".

სპექტაკლის წარმატებით მიმდინარე რეპეტიციებიდან ჩანს, რომ ზუგდიდელებს ხელა საინტერესო შემოქმედებასთან ხვდებათ შეხვედრა.

ნ. ბაბალუა.

სამამულო ომის ექო

## ❶

## დღე ისე არ გავა...

ზუგდიდელ პოლიგრაფისტთა პირველი თაობის ღირსეული წარმომადგენელი ლეონტი ჯაბუავა და მისი ძმები შალვა და ორდენი დიდი სამამულო ომის მონაწილენი იყვნენ.

ლეონტი სევასტოპოლის მისადგომებთან ბრძოლებში მძიმედ დაიჭრა, მაგრამ განკურნების შემდეგ კვლავ უბრუნდება ფრონტს. იომა, მაგრამ ვერ შეესწრო მტერზე საბოლოო გამარჯვების დღეს. მან ქალაქის მისადგომებთან ბოლო სისხლამდე იბრძოლა ასევე, გმირის სიკვდილით დაეცა შალვაც, ხოლო ორდენს დაუბრუნდა მშობლიურ კარს გალმოხდილმა, დღე არ გავა სინანულით არ მოიგონოს დაღუპული ძმები.

ზუგდიდელი პოლიგრაფისტები ბატივს მიაგებენ სამშობლოს შეწირული თავიანთი კოლეგების სახელს.

ზ. [illegible]ძიანი.

მოვუაროთ, მოვეფეროთ კულტურის ძეგლებს!

# ყოველი ჩვენთაგანის წმიდათაწმიდა ვალია

ახლა, როცა საქართველოს ზვავივით თავს დაატყდა უამრავი პრობლემა, როცა საკუთარი თავის შეცნობის ღრმა და მტკივნეულ პროცესს გავდივართ, ერთი წუთითაც არ უნდა დაგვავიწყდეს მშრომელთა სულიერი ფორმირების უმნიშვნელოვანესი ამოცანა. იმ მაღალ და ნათელ ტაძართან, ხვალინდელი თავისუფალი საქართველო რომ მქვია შინაგანად განწმენდილნი უნდა მივიდეთ. ამჟამად, როგორც არასდროს მაერივით საჭიროა ადამიანები გაზიაროთ კულტურისა და ხელოვნების მადლს. მოქალაქის სულიერი იერსახის ჩამოყალიბება, მისი შინაგანი ინტერესების სფეროს გაფართოება მით უფრო საჭიროა ამ ვითარებაში, როცა დროის აბსურდულობით, ათასნაირი პრობლემის გადაუჭრელობით შეპირობებულ და გაუხეშებულ სულს მალამო სჭირდება. მრავლისმთქმელია თუნდაც იმ ფაქტის აღნიშვნაც, რომ ჩვენი რესპუბლიკის ყველა ჭეშმარიტი პირისუფალი, სახელმწიფო უწყება, თუ კერძო პირი, საგანგებო, გამორჩეულ ყურადღებას უთმობს დღეს ისტორიის, კულტურის, ბუნების ძეგლების დაცვისა და მოვლის საქმეს.

ისტორიული ძეგლი ძვირფასი ლითონივითაა. მას ფასი არ აკლდება. წარსულის მემკვიდრეობაში ბევრი რამ არის ისეთი, რასაც ძალუძს აღტაცებაში მოიყვანოს, მოწიწებისა და კრძალვის წმინდა გრძნობები გააღვიძოს ყველა თაობის ადამიანებში და ეს მუდმივი ფონდი, გაუხუნარი მატერიალური ფასეულობანი მთელი თავისი შინაგანი ღირსებებით რომ გამობრწყინდეს და მშრომელთა კულტურის, შეგნების დონის ამაღლების სამსახურში ჩადგეს, საჭიროა თავს ვევლებოდეთ, გულგრილობისა და დავიწყების ხავსს დღენიადაგ ვაცლიდეთ ეროვნულ განძს. ეს საქმე ერთნაირად უნდა აღელვებდეს როგორც ოფიციალურ მმართველობით სტრუქტურებს, ისე სხვადასხვა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომელთა საქველმოქმედო, პატრიოტული გზნება დღევანდელ საქართველოში ასე ძალუმად იგრძნობა.

ის ფაქტი, რომ ძეგლებისადმი ზრუნვა უშუალოდ, თანაც სპეციალური სადირექტივო დოკუმენტებით დავალებული აქვთ რაიონულ საქალაქო და სასოფლო საბჭოებს, ყოველ ჩვენთაგანში განამტკიცებს იმის რწმენას, რომ უპატრონობა აღარ დაემუქრება ამ წმიდათაწმიდა კერებს. ამასთან, როგორც ზემოთაც მივანიშნეთ, არ უნდა შემოვიფარგლოთ საუწყებო ზრუნვის ჩარჩოებით და ყოველი ქართველი დავიმუხტოთ პატრიოტული, მამულიშვილური სულისკვეთებით.

რა მდგომარეობაა ჩვენს რაიონში და ქალაქში ამ მხრივ? მიუხედავად იმისა, რომ ისტორიულ ძეგლთა დაცვას ადგილობრივი საზოგადოებების მფარველი ხელი მნიშვნელოვნად დაეტყო, ჩვენი ძეგლების უმეტესობა უფრო კონკრეტული და საგნობრივი ზრუნვის მოლოდინშია. წესრიგშია მოსაყვანი რუხისა და ჯიხაშკარის ციხის ნანგრევები. გასასუფთავებელია გზები და ძეგლის შემოგარენი. ზოგან ქვის კედლებს დუღაბი სცვივა, იშლება, იფიტება შენობის ცალკეული ფრაგმენტები. სარესტავრაციო სამუშაოების უფრო მეტი ინტენსივობით გაშლას ითხოვს ცაიშის, მარტვილის კარის ეკლესია, კოთილმოხაწყობის მოჩუხრობის პარკი „ნაღიდა. საგანგებო ყურადღებას ითხოვს ჩვენი მუზეუმი, მისი შემოგარენი.

ჩვენს ქალაქს არ აკლია სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოსული დამთვალიერებელი. ბუნებრივია ყოველ მათგანს დაებადება სურვილი გაეცნოს ამა თუ იმ ძეგლის ისტორიას, ნანახით და განცდილით შეივსოს გონების თვალსაწიერი. დროა გადაწყდეს გზამკვლევებისა და მცირე მონოგრაფიების დაბეჭდვის საკითხი. საჭიროა ამ წმინდა ნანგრევებთან მოვაწყოთ კულტურის პროპაგანდის, საადმინისტრაციო-საზღვაო მანათლებლო დანიშნულების მიზნობრივი ღონისძიებები. ამ თვალთახედვით საინტერესო ფორმების გამონახვა მართებთ შესაბამის სამსახურებს.

ძეგლის მეგობართა მოწოდებაა: არცერთი ძეგლი უპატრონოდ! პირველნი გამოეხმაურნენ რუხელი მოსწავლეები. სკოლამ გადაწყვიტა ქართველთა ღირსშესანიშნავი ზეიმები ციხის მიდამოებში გამართოს და ამასთან მუდმივი შეფობა გაუწიოს ამ წმიდათაწმიდა კერას. მათ ინციატივას, იმედია სხვებიც მიბაძავენ.

ყოველ ძეგლში ღვივის, ფეთქავს წმინდა მარცვალი. მოვალენი ვართ სიცოცხლის ეს უხილავი მოძრაობა გულის ძარღვებით ვიგრძნოთ და მომდევნო თაობებს გადავცეთ, როგორც წმიდათაწმიდა ესტაფეტა.

# მომავლის რწმენით

ეროვნული სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი ქვემოკახათის საშუალო სკოლის მოსწავლეთა და საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა მონაწილეობით ჩატარებული საქველმოქმედო კონცერტი.

დარბაზი მაყურებელს ვერ იტევდა —

ნორჩები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მხატვრულ კითხვაში სპორტულ ტანვარჯიშში, სიმღერასა და ცეკვაში.

ხევდანარევი და ამაღელვებელი იყო მოსწავლეების: ლ. მოხიას, თ. აკობიას, თ. თუზბაიას, ზ. კაკულიას და სხვათა მიერ წაკითხული ქართველ პოეტთა პატრიოტული ლექსები.

დიდი მოწონება დაიმსახურა ქვემოკახათის საშუალო სკოლის მოსწავლეთა გუნდის მიერ შესრულებულმა სიმღერებმა საქართველოზე, ქართველი ხალხის გმირულ, ისტორიულ წარსულზე. საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმაც დაატკბეს მაყურებელი ცეკვათამაშით.

დახასრულ, ცხრა აპრილი გაიხსენეს...

როცა მეათე კლასის მოსწავლემ ლ. მოხიამ წაიკითხა ა. [illegible]ოვაზის ლექსი „ცხრამეტი ქალიშვილი", დარბაზში მყოფთ თვალებში ცრემლი ჩაუდგათ.

შემდეგ გაისმა „შავლეგო", აფრიალდა საქართველოს სამფეროვანი ეროვნული დროშა, ააცმციმდა სანთლები. დახასრულ ყველამ ერთად იმღერა „ჩემო კარგო ქვეყანავ".

იყო რაღაც ენით გამოუთქმელი სევდა, მაგრამ სევდასთან ახლდა სიხარულიც, სიხარული რომელსაც მომავლის რწმენა ასაზრდოებს.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის სასიამოვნო ფაქტიც, რომ საქველმოქმედო კონცერტზე შემოსული თანხა—263 მანეთი, გადაირიცხა მერაბ კოსტავას სახელობის საადგილმამულო ფონდში.

ბ. უბილავა,
ქვემოკახათის საშუალო სკოლის ორგანიზატორი.

# ანაკლიიდან გვატყობინებენ

19 ჰექტარ სრულმოსავლიან პლანტაციიდან უნდა მოიკრიფოს 300 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. დღეისათვის დამზადებულია 70 ტონა.

* * *

სიმინდი სამარცვლედ დაითესა 70 ჰექტარზე, [illegible] 25 სოიო 10 ჰექტარზე.

დაიწყო სამარცვლედ ნათესი ყანების გათოხნა. თესვის კამპანიის ორგანიზებულად ჩატარებაში წვლილი აქვთ სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელს ზონდო ყორშიას, მექანიზატორებს რეზო ბუკიას, [illegible]ლო თოლორაიას, იურა ყორშიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იურიდიული ცოდნა — მასებს!

# არასრულწლოვანი და დანაშაული

მკითხველებისათვის ახალ ინფორმაციას არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ დანაშაული დღითიდღე იზრდება და იგი უფრო ორგანიზებულ ხასიათს ღებულობს. ყოველივე ამაში გარკვეულ როლს ასრულებს ის გარემოებაც, რომელიც წლების მანძილზე ტრადიციად იყო დამკვიდრებული ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობაში. ეს გახლდათ სტატისტიკური მაჩვენებლების ხელოვნურად შელამაზება, დანაშაულთა გამომწვევი მიზეზების არასწორად გაგება თუ მიზნობრივად მისი დამახინჯება. თითქოსდა დანაშაულის გამომწვევი მიზეზები კაპიტალისტური წყობილების გადმონაშთი ყოფილიყო. რომ ეს ასე არ არის, ამაში ცხოვრების პრაქტიკამ დაგვარწმუნა. ბოლო ხანებში კი არ მცირდება არამედ პერიოდთა საპირისპიროდ კატასტროფულად მატულობს დანაშაულთა რიცხვი. მათ შორის უპირველესი ადგილი უკავია ქონებრივი სახის დანაშაულობებს. და უფრო საგანგაშოა ის ფაქტი, რომ ამ სახის დანაშაულთა ჩამდენად გვევლინებიან არასრულწლოვნები, მოზარდი თაობა.

მიმდინარე წლის ხუთ თვეში არასრულწლოვნების მიერ უკვე ჩადენილ იქნა 6 დანაშაული. მათ შორის ქურდობის, ყაჩაღობის და ავტომანქანების გატაცების ფაქტები. 1973 წელს დაბადებულმა №15 საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლემ ზურაბ ანზორის ძე ჩხეიძემ სრულწლოვან კახა ჯემალის ძე დაგარგულიასთან ერთად არაფხიზელ მდგომარეობაში ჩაიდინა ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გატაცება. უფრო სავალალოა ის ფაქტი, რომ ჩხეიძე ამ დანაშაულში ჩაითრია სრულწლოვანმა დაგარგულიამ. ასევე თეიმურაზ ვალერის ძე აფხაზავამ, ალექსანდრე ივანეს ძე მჭედლიშვილმა არასრულწლოვანი გოდერძი ვაჟას ძე ჩიხუა ჩაითრიეს ძარცვაში, სახელმწიფო და პირადი ქონების ქურდობაში. იგი დაბადებულია 1978 წელს, ცხოვრობს ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭაქვინჯში. არის დიდდობერის საშუალო სკოლის მოსწავლე.

1974 წელს დაბადებულმა, არასრულწლოვანმა გელა ვახტანგის ძე ნაყოფიამ კ. ნ. ბულიასთან და გამოძიებით დაუდგენელ პირებთან ერთად ჩაიდინა ყაჩაღობა და იმის მაგივრად, რომ ის შემდგომ მაინც მიხვედრილიყო მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, ქურდული ტრადიციისაკენ უფრო გადაიხარა, და თანამონაწილეც არ დაასახელა. ხოლო საშუალო სკოლის მოსწავლეებმა, სადაც ის სწავლობდა, გაფიცვაც კი მოაწყვეს ნაყოფიასათვის სოლიდარობის გამოცხადების მიზნით. დამნაშავენი წინასწარ პატიმრობაში იქნენ აყვანილნი. ხოლო არასრულწლოვან ნაყოფიას არავინ აღმოაჩნდა ახლობლებიდან ისეთი, რომ გონივრული რჩევა-დარიგება მიეცა, რათა მას დანაშაულის ჩადენის შემდგომ მაინც აერჩია სწორი გზა.

სოფელ რუხის მცხოვრებმა არასრულწლოვანმა ლევან ვლადიმერის ძე ქირიამ სიმთვრალის დროს ჩაიდინა დანაშაული, გაიტაცა ავტომანქანა. 1975 წელს დაბადებულმა №4 საშუალო სკოლის მოსწავლემ ბესიკ ირაკლის ძე ჭითანავამ და №5 საშუალო სკოლის მოსწავლემ, 1975 წელს დაბადებულმა მერაბი თამაზის ძე ნადარეიშვილმა ჩაიდინეს მოქალაქეთა ქონების ქურდობა.

წალენჯიხის რაიონის სოფელ ფოცხოს მცხოვრებმა №62 პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლემ, არასრულწლოვანმა ნუგზარ მურმანის ძე ყურუამ (დაბადებულია 1974 წელს) და მისმა ამხანაგმა თამაზ ვალერის ძე ფიფიამ (მცხოვრები წალენჯიხის რაიონის სოფელ ჭალეში, დაბადებულა 1978 წელს) გაიტაცეს ავტომანქანა.

როცა ვაანალიზებთ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულობებს, ვესაუბრებით ამ დანაშაულთა ჩამდენ პირებს, შეიძლება გავაკეთოთ ასეთი დასკვნა, რომ ამის მთავარი მიზეზია ოჯახის, მშობლების მხრიდან ყურადღების მოდუნება, ბავშვთა ზნეობრივი აღზრდისა და ჩამოყალიბებისადმი არასწორი დამოკიდებულება.

ზემოთ ჩამოთვლილი დანაშაულებისათვის, თვით დანაშაულის სახიფათოებიდან გამომდინარე დაწესებულია მაღალი სანქციები. და რაოდენ დასანანია, როცა ამ დანაშაულისათვის განსჯის საგნად არასრულწლოვნები გვევლინებიან. ასეთ შემთხვევაში კი სწორი არ იქნებოდა გვეფიქრა მხოლოდ კანონის სიმკაცრეზე და არასრულწლოვანთა კოლონიებში გაგზავნის სასურველი შედეგის მიღწევაზე. უნდა გვახსოვდეს, რომ ახალგაზრდას სწორედ ფორმირების პერიოდში სჭირდება საზოგადოებასთან ყოფნა და არა მათგან იზოლირება. ეს კი პირველ რიგში უნდა ახსოვდეთ მშობლებსა და ახლობლებს, რომლებიც ხშირად, ნებით თუ უნებლიედ, მათი არასწორი პოზიციის შედეგად გვევლინებიან მოზარდი პირების არასწორი ფორმირების მიზეზად. მათი მხრიდან შვილებისა და ახლობლების გაუმართლებელი მხარდაჭერით მრუდდება მოზარდთა ფენომენი. ამავე დროს სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ შესუსტდა სკოლის აღმზრდელობითი ფუნქცია, რაშიც ჩვენს საზოგადოებასაც მიუძღვის ბრალი. მასწავლებლის პროფესიისადმი ზურგის შექცევამ, მათი ღვაწლისა და ამაგის დაუფასებლობამ, თვით მოზარდის რწმენაზეც მოახდინა ზემოქმედება. პედაგოგის პროფესიის უპირველესობის უარყოფამ გამოიწვია ისიც, რომ ამ პროფესიის ასათვისებლად ხშირ შემთხვევაში სხვა ფაკულტეტებზე ხელმოცარულნი მიდიან. ასეთი ფაქტები ერთეული როდია. რაც სამწუხაროდ ასეთ პირთა უაღრესად დაბალ კულტურაზეც მიგვანიშნებს. ამას ისიც ემატება, რომ პედაგოგთა სოციალური პირობები მოუწესრიგებელია და მის გასაუმჯობესებლად მხოლოდ მოწოდებებით თუ ილევწიან, თორემ პრაქტიკაში ისინი ეკონომიკურად დაუცველნი რჩებიან. პედაგოგის პირობების გასაუმჯობესებლად კი ეგრეთწოდებული ცენტრიდან მოყოლებული ადგილობრივი ხელისუფლებით დამთავრებული თავს არავინ იწუხებს. ასეთ შემთხვევაში კი მათ მიმართ პრეტენზიები ცალმხრივი და არაობიექტური იქნებოდა.

ახალგაზრდობის მხრიდან დანაშაულის ჩადენის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ისიც შეიძლება დავასახელოთ, რომ მოზარდი თაობა არ იცნობს კანონებს. ზოგჯერ დამნაშავე პირებთან გასაუბრებისას რწმუნდები, რომ კანონის არ ცოდნით და ბავშვური გატაცების მიზეზით უფრო ხდება დანაშაულის ჩადენა. გარდა ზნეობრივი მიმართულებისა აქაც ისევ ვლინდება სკოლის როლი, უღიმღამოდ გამოიყურება არასრულწლოვანთა ინსპექციის და კომისიის საქმიანობა. ისინი ძირითადში ფაქტების აღნუსხვით და მათი შეფასებებით კმაყოფილდებიან, ხოლო ახალგაზრდობის აღმზრდელობითი ფუნქცია საერთოდ მივიწყებული აქვთ მაშინ, როცა მათი ძირითადი მოვალეობა სწორედ ესაა და ამ მიმართულებით უნდა წარიმართოს მათი შემდგომი საქმიანობა.

ვფიქრობ, რომ ამ ურთულეს დროს, როცა უჭირს საქართველოს ყველანი ერთხმად უნდა დავდგეთ და ვემსახუროთ მომავალი თაობის სწორად აღზრდის საქმეს. დამოუკიდებელი საქართველო, მონოლითური, სულიერად წმინდა საზოგადოების მეშვეობით და სამართლიანი აღდგენით თუ შეძლებს თავისი პოზიციების გაძლიერებასა და განმტკიცებას.

რ. ახალაია,
ქალაქის პროკურორი, პირველი კლასის იურისტი.

# ახალი ლექსები

* * *

„მიმოვიხედე და არ იყო შემწე,
დავიქანცე და არ იყო მშველელი"
ესაია

დევს გზაზე დიდი შუადღის ჩრდილი
და იწოვს ჩემი სხეულის ხმაურს;
მე აურზაურს თმენა ვარჩიე
და ახლა როგორც მკვდარი წერტილი
ვარ შერჩენილი შენი ცივი ქალაქის კაშხალს...
დარჩა ნესტიან ქვაბულებში
იდუმალი ჩემი პორტრეტი,
ირონია და გაფითრება,
და დაღლიანი კამეჩივით წვება უკუნში
გაგუდული ხმა გადარჩენის,
და დანარჩენი,
სხვა დანარჩენი
დაუმთავრები ნახატივით აზრება კიდ...
ცვლიან ერთმანეთს მზე და წყვდიადი
და იშმუშნება მღვრიე ხახა
ცხელი ქუნძულის.
ბლავის უფსკრული
საკუთარი სიბნელით მთვრალი
და როგორც ხვითოს ველის გიურზა
ისე აბრუნებს თიხის ქოთანს
თეთრი ქალღმერთი.
...დრო კი ვითარცა ავი ლრუბელი
კვლავ შეთანხმებულ ბოროტებას
ულოკავს თათებს!

## სვეტიცხოველი

„შემებრძოლებიან, მაგრამ ვერ
გძლევენ, რადგან შენთანა ვარ"
იერემია.

შენ დგახარ,
როგორც საკვირველება,
როგორც მტკიცება და უარყოფა,
უთქმელი, როგორც მაცხოვრის
სული,
უჟამო, როგორც სინათლის როკვა!

. . . . . . . .

მტერი კი შურით წითლადდაჯრილი
მიხოხავს ოდენ წიაღში მტვერთა...
მეფემან დასდო მახვილი თვისი...
—მზე მოვალს შენთა!

## ნოვალისი

მომიახლოვდი თეთრო ვარსკვლავო,
საცნაურყავი
განუყოფლობა მიწის,—ციერთან...
რომ სული შენი თანამგზავრია,
რომ ხორცი შენში განსახიერდა!
იამბე ჩემო თეთრო ნათელო
რომ ვიცი მეტი,
უფრო მეტი,
ვიდრე ოდესმე
რომელიმე ტიტულოსანს
ჰქონია ტვინში,
რომ თავს ვერასდროს დავიხსნი
შენგან,
რომ შენთან ყოფნა ხელს კი არ
მიშლის,
არამედ უფრო მამკვიდრებს, უფრო
და თავისუფალ სამყაროს მჩუქნის...
ლივლივებს ჩემი ძოწის კარავი,
როგორც მაღალი სატახტო უფლის!
—მომიახლოვდი თეთრო ვარსკვლავო,
საცნაურყავი
განუყოფლობა მიწის, ციერთან...
რომ სული შენი თანამგზავრია,
რომ ხორცი შენში განსახიერდა!..

## მინაწერი ისტორიულ რარიტეტებზე

მეფე ვახტანგი პეტრე პირველს

როგორ ვიწამო შენი დიდობა,
შენი ხიმალლე როგორ ვიწამო,—
როცა მატყუებ;
ცრუობ, როგორც უზნეო ბავშვი
და უმშვიდესი შენი სიანჩხლე
სისხლს ითხოვს ჩემგან!
...რატომ მზვაობრობ ყოვლისმპყრობელო?
არცა მეოხად მოსულხარ ჩემდა,
არამედ პარტახს შემამთხვიე შენის მზაკვრობით...
ვინძლო დიდია უფლის სახება
და შენც მოგივა ნაცვალგება შენთა ნაქნართა!
შენს უპირობას დასწყევლიან,
შენს ვერაგობას,
ხოლო მე თავად
გულპყრობაი ჩემი მეყოფა.

ნონა დავითაია.

## სტრიქონები წერილებიდან

**1**

## კლიენტი მადლიერია

თავისი საქმის კარგი მცოდნე, ყურადღებიანი და თავმდაბალი,— აი, სიტყვები, რომლებიც უეცრად გაგიელვებენ საყოფაცხოვრებო მომსახურების მესაათის ემზარ ბოხუას გახსენებისას.

ეს სანდომიანი სახის ახალგაზრდა სიცოცხლეს უბრუნებს მექანიზმებს, ზუსტი და აკურატული მუშაკია.

1975 წლიდან დაუწყია აქ მუშაობა ემზარს. დაინტერესებული ჭაბუკი დღითიდღე ოსტატდებოდა. წელი წელს მიჰყვა. ახლა იგი ერთ-ერთი საუკეთესო ხელოსანია ზუგდიდში.

გასამრჯელო?—ამბობს ემზარი —ყველაზე დიდი გასამრჯელო ჩემთვის კლიენტის მადლიერი სახეა. თავისი საქმის ჩინებული ცოდნით მან სწორედაც დაიმსახურა საზოგადოების პატი[illegible]ვა.

გივი აბურჯანია.

17 ივნისი მედიცინის მუშაკის დღეა!

## ერისკაცად ვრაცხ

არც ისე შორეულ წარსულში ზუგდიდის სახელი შორს გაიტანა აკადემიკოსმა ნიკოლოზ ანთელავამ. გვყავდა ხასიათდებულ ექიმები ზეგლარ გოშუჩია, კლინიატრაკე ალშიბაია, სპირიდონ გარდავა და ბევრი სხვა, რომლებიც დარაჯად ედგნენ ადამიანთა სიცოცხლეს. შემდგომ მოვიდა ახალი თაობა, მოიტანა ახალი შემართება, ცოდნა.

ბევრი სახელოვანი ექიმია ზუგდიდში, მაგრამ მე გამოვყოფდე ერთ-ერთ მათგანს ნუკრი ვენიას ძე ჩირგაზიას, რომელიც ქალაქის მოზრდილთა პოლიკლინიკაში მოღვაწეობს.

ტაქტი, მიღგომა, ცოდნა აქვს ახალგაზრდა სპეციალისტს. მე კარგ ექიმს ერისკაცად ვრაცხ.

ბრიამნა გოლაფა.

## მილოცვები, სურვილები

მედიცინის მუშაკის დღეს ვულოცავთ რესპუბლიკური საავადმყოფოს ექიმებს ზვიად თოლორაიას, გოგა ჩიქოვანს, მერაბ ჭუჭუნიას, აბასთუმნის საექიმო ამბულატორიის ექიმს ლიანა კუტალიას, ექთნებს ირინე კოდუას, ნანა ჯიქიას. ამ კეთილმა ადამიანებმა ყველაფერი გააკეთეს და სიცოცხლე შეუნარჩუნეს 15 წლის ახალგაზრდას—მინდია ლუკავას.

ლიანა და ჯუმბერ ლატარიები.

ნათელა როგავა შვილიშვილის —პატარა სოფიკოს გადარჩენისათვის მადლობას უხდის რაიონის საავადმყოფოს ბავშვთა განყოფილების გამგეს ზურაბ უბერს, მკურნალ ექიმს რიტა ნორაკიძეს, მედდებს ლეილა ავალიანს და ლალი ქობალიას. ულოცავს მათ მედიცინის მუშაკის დღეს და უსურვებს წარმატებებს შემდგომ საქმიანობაში.

სტომატოლოგიური პოლიკლინიკის უფროს ტექნოლოგს ზოთა კორკელიას მედიცინის მუშაკის დღეს ულოცავს პენსიონერი ლიდა ბიძინაშვილი და უსურვებს მხნეობას, წარმატებებს.

დედა-შვილი ემა და ლუნა ოჟუჯავეები მედიცინის მუშაკის დღეს ულოცავენ რესპუბლიკური საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების უფროსს თემურ უბერს, ექიმს ავრორა შონიას და მადლობას უხდიან მათ უანგაროდ გაწეული ამაგისათვის.

პაციენტი დავით ბიქტორის ძე მაჭავარია მედიცინის მუშაკის დღეს ულოცავს ზუგდიდის აკადემიკოს ნ. ანთელავას სახელობის რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარ ექიმს ნ. წასნიძეს, კარდიოლოგიური განყოფილების გამგეს გ. კვარაცხელიას, ექიმებს მ. ქირიას, ნ. გაბედავას, ლ. ხაჭვარელიძეს, მედდებს: ნ. ახალაიას, მ. შენგელიას, მ. საჯაიას, მადლობას უხდის მათ სიცოცხლის შენარჩუნებისათვის და სიკეთეს უსურვებს.

ჩხორიის საშუალო სკოლის პედკოლექტივი დაბადებიდან 80 წლისთავს ულოცავს ყოფილ მოსწავლეს ვაჟა ნესტორის ძე ფიფიას და უსურვებს დიდხანს სიცოცხლეს.

## სამადლობელი ცოფას ნიშნავს

მაისში ჩემი პატარა ზურიკო მძიმე მდგომარეობაში მიეიყვანე პედიატრ ზურაბ უბერთან. მდგომარეობა ძალიან მძიმე იყო. მხსნელად მოგვევლინა ბატონი ზურაბი. დღეს, როდესაც ჩვენს ბუთიაქებში უბრალო წამალიც კი არ იშოვება, დეფიციტური წამლები თვითონ მოიპოვა. ღამეს უთევდა ჩემს შვილს პედიატრი კლარა ჭინტურია. სამადლობელი სიტყვები ცოტაა მათთვის. ამ დაულალავმა ადამიანებმა არუქეს ჩემს პირმშოს სიცოცხლე, ოჯახს დაუბრუნეს ბედნიერება.

მე, როგორც მრავალშვილიანი დედა კიდევ ერთხელ გამოვხატავ უღიდეს მადლობას ამ კეთილშობილი ადამიანების მიმართ და ვუსურვებ მათ ჯანმრთელობას ჩვენი პატარა მოქალაქეების საკეთილდღეოდ.

მაწანა ხასაია,

ახალგაზრდა მრავალშვილიანი დედა.

შვილები: გულნარა, თალიკო, ვალერიანე, მეგონა. დები: ნადია, მაპუპი, პეპელა. ნუცა. ძმები: იგორი, ჟორა ეხვაიები, ძმისშვილი ფელიქსი ეხვაია, რძლები: ფატიმა. ციცო. ეთერი, მარგო, სიძეები დუშელი ფიფია, გივი, გუგუჩია, რევაზი ჯანაშია, შვილიშვილები: დოდო, ლამზირა, მურმანი, ოთარი, ბადრი. ქეთინო, ეკა, თეა. დათო, დარიკო. მანიკო, ბებული, გოგი, დისშვილები, ძმისშვილები, მაზლიშვილები ოჯახებით იუწყებიან

**ლუბა სოკრატის ასულ ეხვაია-გერგედავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 19, 20 ივნისს. დაკრძალვა 21 ივნისს სოფ. კოკში.

შვილები: ლუიზა, ნუგზარი. ზაური. ანზორი, დები: ანტისა. ვაოდიშა. ძმები: ჟორა. შოთა. მირიანე ახალაიები, რძლები: ვალია. ნინო, გალია., მარუსია, ნატო ახალაიები, ნათელა. ციალა, ლიანა ქარჩავები. სიძეები ვახტანგი ქირია. ბორია შამათავა, ვალიკო ხუბუნაია. შვილიშვილები ლუდა მარინა, სოფიკო. ზაზა ახალაიები, ლევან ქირია. ცოლისდა ნათელა. ცოლისძმები ოთარი. ჯუმბერ, ავთანდილი ქარჩავები. დისშვილები, ძმისშვილები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან

**კლიმენტი კონსტანტინეს ძე ახალაიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 16. 17 ივნისს. გამოსვენება 19 ივნისს ს. ოდიშში (სინწა) დაკრძალვა ქაფათის სასაფლაოზე.

შვილი მზია, რძალი მადონა დიდიშვილი, და ვერა სართანია, შვილიშვილები: ჟანა. კახა გარდავები. სოფიკო, ნუკრი ბულიები, შვილთაშვილები: ნათია. თეონა, გიორგი ქანთარიები. სიძეები: ომარ ბულია, გია ქანთარია, ბორის ქარჩავა, დისშვილები: ნაზიკო. დოდო, სვეტლანა, რაფიკო, საშა ჰითანავები, ბიძაშვილები აველინა, კაკო სურმავები, ვერა. ოლია, მიშა ხუბუტიები, დეიდაშვილები: შალიკო, ჟორა ჰითანავები, ციცა, ტიტე, მიშა ნადარაიები. მზახლები: ეკატერინე დიდიშვილი, ნათელა ჯგუშია, მინადორა ქანთარია ოჯახებით იუწყებიან

**ოლია ლევანის ასულ ხუბუტია-გარდავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 16, 17, 18 ივნისს. დაკრძალვა 19 ივნისს ს. ახალკახათში.

ზუგდიდის ჩაის კომბინატ „ოდიშის" კოლექტივი იუწყება

**კლარა ვლადიმერის ასულ ლემონჯავას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

დედა გული. მამა ნიაზი, მეუღლე რეზო. შვილები ფატიმა, მედეა. მანუჩარი და ელეონორა, სიძე მოგელი, დისშვილები მაკა, კახა კარტოზიები. დეიდები კვანტა. მინერა. ბიძები ქიაზიმი ოდიშარიშვილი, შავკეთი, ენვეროდი ფატლანძეები, მამიდა საბრიე, დეიდაშვილები, მამიდაშვილები. ბიძაშვილები ოჯახებით იუწყებიან

**ლეილა (ლალა) ნიაზის ასულ ფატლანძე-მიქელაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 16, 17 ივნისს. დაკრძალვა 19 ივნისს, გამოსვენება კიროვის მეოთხე შესახვევი 10.

ძმისშვილი ჟიული ნიკოლაიშვილი, რძალი ჟუჟა შონია. მამიდაშვილები: ვალერიანე, ლიუშა, ვარვარა, ვაჟა ლიპარტიები, ბიძაშვილები: კარლო, ნათელა. ბორია ნიკოლაიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ანტისა ბეგლარის ასულ ნიკოლაიშვილი.**

პანაშვიდი 16 ივნისს. გამოსვენება 17 ივნისს ქ. ზუგდიდი, ლენინის ქ. 101-დან 16 საათზე. დაკრძალვა სოფ. ახალ ხიბულაში (ზონაბის რაიონი).

შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება განყოფილების ყოფილი უფროსის

**გივი ვალერიანეს ძე კოდუას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

დედა ვალენტინა, მეუღლე ნაირა. შვილი ნაზი, და ეთერი, ძმები გენო. ბორისი იუწყებიან

**ანზორი (გადული) ვარლამის ძე ბოკუჩავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 16, 17 ივნისს. დაკრძალვა 19 ივნისს. ქ. ზუგდიდი. გამოსვენება ერევნის 60.

კავშირგაბმულობის ზუგდიდის რაიონული კვანძისა და მეშვიდე სახაზო-საექსპლოატაციო ტექნიკური კვანძის მუშაკები იუწყებიან ამავე კვანძის დამსახურებული მუშაკის

**მურმან პორფილეს ძე ჩახაიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ზუგდიდის სამედიცინო ნაკეთობათა ქარხნის კოლექტივი იუწყება

**მურმან პორფილეს ძე ჩახაიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მიშა ქავთარაძე ოჯახით იუწყება მზახლის

**გივი ვალერიანეს ძე კოდუას**

გარდაცვალებას.

ომისა და შრომის ვეტერანთა საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმი იუწყება დიდი სამამულო ომისა და შრომის ვეტერანის

**მურმან პორფილეს ძე ჩახაიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

[illegible]მოკახათის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექპერსონალი იუწყებიან

**ნურა ალექსანდრეს ასულ შონია-ფანცულაიას**

გარდაცვალებას.

## გ. ვ. კოდუა



სოფლის მეურნეობის მუშაკთა რიგებს გამოაკლდა ღვაწლმოსილი ადამიანი, სკკპ წევრი 1958 წლიდან გივი ვალერიანეს ძე კოდუა.

იგი დაიბადა 1927 წელს დაბა ხობში, საშუალო სკოლა დაამთავრა 1945 წელს. შრომითი საქმიანობას იწყებს ახალგაზრდობიდანვე. ჰქონდა უმაღლესი იურიდიული და აგრონომიული განათლება, ფართო ერუდიცია, რასაც უშურველად ახმარდა მინდობილ საქმეს.

გივი კოდუას სხვადასხვა წლებში უმუშავია „საქშახტმშენის" სისტემაში, საქართველოს კომკავშირის ზუგდიდის რაიკომის ჯერ მეორე, ხოლო შემდეგ პირველ მდივნად, ენგურქაღალდკომბინატის მუშათა კომიტეტის თავმჯდომარედ, გაზეთ „მებრძოლის" განყოფილების გამგედ, პარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივნის თანაშემწედ, ენგურჰესის მშენებლობის პარტკომის მდივნად. 1965 წლიდან 1975 წლამდე მსახურობდა ადმინისტრაციულ ორგანოებში, როგორც ზუგდიდის რაიმილიციის განყოფილების უფროსის მოადგილე, შემდეგ უფროსი, ქალაქის მილიციის განყოფილებისა და ხიდის შრომა-გასწორების კოლონიის უფროსი. წლების განმავლობაში სათავეში ედგა აბასთუმნის ტუნგის საბჭოთა მეურნეობას, იყო აგროსამრეწველო გაერთიანების მთავარი აგრონომი, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე იგი იყო ერთ-ერთი წამყვანი რაიონული კოოპერატივის ხელმძღვანელი.

წავიდა ჩვენგან მდიდარი შრომითი ბიოგრაფიის ვალმოხდილი პიროვნება, რომლის ხსოვნა მარად დარჩება ჩვენს გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

## მ. პ. ჩახაია

გარდაიცვალა ომისა და შრომის ვეტერანი, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის დამსახურებული მუშაკი, სამამულო ომის პირველი ხარისხისა და მრავალი მედლის კავალერი მურმან პორფილეს ძე ჩახაია.



იგი დაიბადა 1925 წელს. ქ. ზუგდიდის №2 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისის კავშირგაბმულობის ტექნიკუმში ჩაირიცხა. მეორე კურსზე სწავლობდა, როცა საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს. ვაჟკაცურად ებრძოდა მტერს, ორჯერ მძიმედ დაიჭრა. 1950 წელს ჭრილობებით მკერდდამშვენებული დაუბრუნდა მშობლიურ ზუგდიდს.

მ. ჩახაიამ კავშირგაბმულობის ზუგდიდის მეშვიდე საექსპლოატაციო-ტექნიკურ კვანძში დაიწყო მუშაობა რადიოკვანძის ტექნიკოსად, უბნის უფროსად, ლაბორატორიის ინჟინრად. 40 წელი ილვაწა ამ კოლექტივში კეთილსინდისიერმა მუშაკმა. იყო კვანძის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნის მოადგილე, სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე, მიკუთვნებული ჰქონდა პირველი კლასის რადისტ-ოპერატორის მაღალი თანრიგი.

აღარ არის ჩვენს შორის ამაგდარი ადამიანი, სიკეთით შემკული ნათელი პიროვნება, მაღალკვალიფიციური სპეციალისტი და ოჯახის შესანიშნავი მამა, მაგრამ მისი ხსოვნა მარად იცოცხლებს იმათ გულში, ვინც კი იცნობდა და მასთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა.

ამხანაგების ჯგუფი.

რედაქტორი

პ. ჭანტურია.

მეუღლე ლიდა, შვილები კარლო. მზიური. ზაირა, რძალი ნათელა სარია, სიძეები პაატა სარიშვილი, თედო ჭაავა, შვილიშვილები: მანანა. დათო, მაია ჯალაღონიები, ზვიადი სახეიშვილი, ლალი. ეკა. სოფიკო ჭაავები, ძმისშვილები ლუდმილა, ნათელა. ნანული, რამიკო ჯალაღონიები, დისშვილები თამარა, დუნია, ვალოდია შენგელაიები, ალიოშა მიქაძე, კუკური ნაყოფია, კატუშა ჭანტურია ცოლისძმისშვილები: მერი, გული, მარდონი, ზაური. გურამი, ლევთერი ფიფიები, ცოლისდისშვილები. ლიანა, ქეთევანი აკობიები ოჯახებით იუწყებიან

**კოლია პავლეს ძე ჯალაღონიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 16, 17 ივნისს. გამოსვენება 19 ივნისს 18 საათზე, ქ. ზუგდიდი, პლეხანოვის ქ. 10.

მეუღლე ქეთო. შვილები: ნესტანი, თენგიზი, თინიკო, როსტომი, დები: ინეზა. სვეტლანა, ძმები: კუკური, აბესალომი ყუფუნიები, სიდედრი თინიკო, სიმამრი ინდიკო ჭურღულიები. ცოლისძმა უტუ ჭურღულია, რძლები: თინა, ლიანა, მანანა, სიძეები: მამუკა ლარიბაშვილი, ინგუშა ფიფია, ვახტანგი ავალიანი. ბუთხუზ სეფისკვერაძე, ბიძა ჯურა ყუფუნია, ძმისშვილები: ირმა, კობა. ნატო, ნიკა ყუფუნიები. დისშვილები: მაია. მამუკა. ვეფხვია ფიფიები, გიორგი. დათო ავალიანები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან

**ანზორ (ჯოჯო) კოლიას ძე ყუფუნიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 16, 17 ივნისს. დაკრძალვა 19 ივნისს სოფ. ახალსოფელში, გამარჯვების ქ. 9.

ИНДЕКС 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი. მერაბ კოსტავას ქ. № 52 ტელეფონები: რედაქტორის —2-24-80, რედაქტორის მოადგილის—2-[illegible]-69, პასუხისმგებელი მდივნის — [illegible]-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების —2-21-78 მშრომელთა წერილების —2-25-12, რადიორედაქციის —2-47-08
ზუგ. სტ. [illegible] სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 58 ტელეფონი 2-23-07 ტირაჟი 22000. შეკ. №3000